

საერთაშორისო აპოლოგეტური დეკლარაცია

“ამიტომ გემუდარებით, მე, პატიმარი უფალში, მოიქცეთ იმ მოწოდების ღირსად, რომელშიც მოგიწოდეს. მთელი თავმდაბლობით, თვინიერებითა და სულგრძელობით შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულში, ეცადეთ შეინარჩუნოთ სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით. ერთია სხეული და ერთია სული, როგორც ხართ კიდევ მოწოდებულნი თქვენი მოწოდების ერთი იმედით; ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება, ერთია ღმერთი და მამა ყოველთა, რომელიც არის ყოველთა ზედა, ყოველივეს მეშვეობით და ყველაფერში.” (ეფეს. 4:1-6)

შესავალი:

უკვე დიდი ხანია, რაც ევანგელისტური ეკლესიები და მესიანური საკრებულოები ექცევიან სხვადასხვა ცრუ სწავლებების გავლენის ქვეშ, რომლებიც მორწმუნეებს აშორებს ბიბლიური სწავლებისგან და ძირს უთხრის მათ ღმერთთან ურთიერთობას (1 იოანე 2:22-23; 4:1-4). ცრუ სწავლებების უკან დგას „მაცდური სულები“, რომლებიც ქადაგებენ „სხვა იესოს“ და „სხვა სახარებას“ (1 ტიმ. 4:1; გალატ. 1:6-12; 2 კორ. 11:1-4). ღმერთის სიტყვა გვაფრთხილებს: „იფხიზლეთ, არავინ წარგატყვევოთ ფილოსოფიითა და ამოოტყუილებით, ადამიანური გადმოცემებისა და სამყაროს სტიქიათა მიხედვით და არა ქრისტეს მიხედვით.“ (კოლ. 2:8). ბიბლიური ქადაგება ცათა სასუფევლის შესახებ დაფუძნებულია მეფე იესო ქრისტეზე (იეშუა ჰა მაშიახ): „ჩვენ კი ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს და ბერძენთათვის - უგუნურებას, ხოლო მოწოდებულთათვის - იუდეველებისთვისაც და ბერძენებისთვისაც - ვქადაგებთ ქრისტეს, ღმერთის ძალასა და ღმერთის სიბრძნეს“ (1 კორ. 1:23-24). თავის სიტყვაში, უფალი მოგვიწოდებს, რომ „ვიღწვოდეთ რწმენისთვის, რომელიც ერთხელ წმინდანებს გადაეცათ“ და ასევე, ჭეშმარიტად ვიქადაგოთ „ჭეშმარიტების სიტყვა“ (2 ტიმ. 2:15). შექმნილი ვითარების საპასუხოდ, უფალმა სხვადასხვა თემების მსახურებს უბიძგა, შეექმნათ საერთაშორისო აპოლოგეტური დეკლარაცია. ამ დოკუმენტის საჭიროება დიდია. აპოლოგეტიკა- არის ბიბლიური რწმენის დაცვა (1 პეტრე 3:15). დეკლარაცია მიზნად არ ისახავს გამოიწვიოს ეკლესია ან მესიანური მოძრაობა (2 კორ. 2:17; 13:8; გალატ. 4:16). პირიქით, ჩვენ გვჯერა და იმედი გვაქვს, რომ დეკლარაცია და მოძიებული რესურსები თეოლოგიასა და აპოლოგეტიკაში, დაეხმარება მორწმუნეებს იპოვონ პასუხები მათთვის ამაღელვებელ შეკითხვებზე, რომ „ერთსულოვნად ვიღწვოდეთ სახარების რწმენისთვის“ (ფილიპ. 1:27).

ამ დეკლარაციის მიზნებია:

1. გამოკვეთოს ბიბლიური რწმენის ძირითადი პრინციპები;
2. გამოკვეთოს ყველაზე გავრცელებული თეოლოგიური და პრაქტიკული მცდარი შეხედულებები თანამედროვე ევანგელურ ეკლესიასა და მესიანურ წრეებში;
3. ხელი შეუწყოს სულიერ ერთიანობას მორწმუნეთა შორის ბიბლიური სწავლებების საფუძველზე.

დეკლარაციის მიზნები:

I. გამოკვეთოს ბიბლიური რწმენის ძირითადი პრინციპები.

1. **ბიბლია:** ბიბლიის 66 წიგნი ერთადერთი უტყუარი და შეუცდომელი ღმერთის სიტყვაა (2 ტიმ. 3:16-17). ბიბლია უნდა იყოს ჩვენი დოქტრინების ერთადერთი საფუძველი. ზოგიერთი უძველესი ებრაული და ქრისტიანული ტექსტები უდავოდ ღირებულია (განსაკუთრებით ისტორიული გაგებით, მაკაბელთა წიგნები, რომლებიც არის ძველი ებრაული აპოკრიფების ნაწილი), მაგრამ მხოლოდ ძველი და ახალი აღთქმების წიგნები (თანახი და ბრიტ ხადაშა) არის ერთადერთი ღვთივსულიერი ავტორიტეტი მორწმუნეებისთვის. უფალმა არაერთხელ აუკრძალა თავისი სიტყვისთვის დამატება ან გამოკლება და გაფრთხილებაც მოგვცა რა მოყვება ამას შედეგად (II რჯ. 4:2; 12:32; იგავ. 30:6; გამოცხ. 22:18-19).
2. **ღმერთის ერთიანობა:** ისრაელის ღმერთი იაჰვე ერთია და ის არის მამა, ძე (იესო ქრისტე-იეშუა ჰა მაშიაჰ) და სულიწმინდა (რუახ ჰა კოდეში) (II რჯ. 4:35; მათე 28:19-20; 2 კორ. 13:13). ძე, რომელიც მუდმივად არსებობდა, მაგრამ ხორცშესხმული გამოჩნდა, როგორც იესო ქრისტე (იეშუა ჰა მაშიახი), ერთი ღმერთის მეორე ჰიპოსტასია (იოანე 1:1-18; 1 ტიმ. 3:16; ებრ. 1:1-3). იესო ქრისტე (იეშუა ჰა მაშიახი) და სულიწმინდა (რუახ ხა კოდეში) თავიანთი ღვთაებრიობით თანაბარნი არიან მამა ღმერთთან (მათე 28:19-20); 2 კორ. 13:13).
3. **იესო ქრისტე (იეშუა ჰა მაშიახი):** იესო ქრისტეს პიროვნება (იეშია ჰა მაშიახის) საკუთარ თავში აერთიანებს ორ არსს- ღვთიურს და ადამიანურს (იოან. 1:1-18; 10:30; კოლ. 2:8-9; ებრ. 4:14-15). უფალი იესო ქრისტე (ადონ იეშუა ჰა მაშიახ) არის ჭეშმარიტი ღმერთი და მარადიული სიცოცხლე (1 იოან. 5:20; ებრ. 13:8-9). იესო ქრისტე (იეშუა ჰა მაშიახ) არის ერთადერთი შუამავალი მამა ღმერთსა და ხალხს შორის (1 ტიმ. 2:5-6). ბიბლიაში ნათქვამია: „რათა იესოს სახელის წინაშე მუხლი მოიდრიკოს ყოველმა ზეციერმა, მიწიერმა და მიწისქვეშეთესამ; და ყოველმა ენამ აღიაროს, რომ იესო ქრისტე არის უფალი, მამა ღმერთის სადიდებლად.“ (ფილ. 2:10-11). იესო ქრისტემ (იეშუა ჰა მაშიახი) იცხოვრა სრულყოფილი ცხოვრებით, მოკვდა ჩვენი ცოდვებისთვის გოლგოთას ჯვარზე და აღდგა მკვდრეთით (მესამე დღეს წერილის

მიხედვით, როგორც 1 კორ. 15:1-4-შია დაწერილი) ზეცად ამაღლდა და მეორედ მოვა დედამიწაზე დიდებული სხეულით (მათ. 24:29-30; ზაქ. 12:10; 14:3-4; საქმეები 1:6-11; 1 თეს. 1:7-10; გამოცხ. 1:7).

4. **ხსნა:** მონანიება (ზეციდან შობა) არის ხსნის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც მოიცავს მონანიებას (ტშუვა) და რწმენას, რომელიც რადიკალურად ცვლის ადამიანის დამოკიდებულებას ღმერთის და ცოდვილი ცხოვრების წესის შესახებ (2 ნეშტ. 7:14; იოან. 3:1-8; საქ. 3:19; 2 კორ; 5:17). ჩვენ (როგორც ებრაელები ისევე არაებრაელები) გადარჩენილნი და გამართლებულნი ვართ რწმენით (ეფეს. 2:1-10) იესო ქრისტეს გამომსყიდველი სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომისადმი (იეშუა ჰა მაშიახი) (რომ.10:9-13; ეფეს. 2:14-15), ამიტომ სახარება უნდა ექადაგოს ყველა ხალხს გამონაკლისის გარეშე (მათ. 10:5-6; 15:24; 28:19-20; რომ. 1:16). ღმერთი მორწმუნის გულში სიკეთის კეთების სურვილს წარმოშობს (იაკ. 2:14-26; ფილ. 2:13; გალატ. 6:9-10).
5. **ისრაელი და ეკლესია:** ღმერთი აქტიურად მუშაობს როგორც ისტორიულ ისრაელთან (ებრაელ ერთან) , ასევე ეკლესიასთან (ებრაელებთან და არაებრაელებთან, რომლებმაც ირწმუნეს იესო (იეშუა). ებრაელი ერი ჯერ კიდევ ღმერთის რჩეული და საყვარელი ერია. დროის ბოლოს, მთელი ებრაელი ხალხი, ვინც ჯვარცმულ იესო ქრისტეს (იეშუა ჰა მაშიახ) ირწმუნებს და აღიარებს მას თავის მესიად, გადარჩება და ღმერთი მიიღებს მას ახალი ართქმის ურთიერთობაში (იერ. 31:1; ზაქ. 12:10; 13:1; რომ. 11:11; 12, 26-29). იესო ქრისტეს მოწმუნეები (იეშუა ჰა მაშიახ) ებრაელები (ცნობილნი, როგორც მესიანური ებრაელები, იუდიმ მეშიხიმ) არიან მსოფლიო ეკლესიის ნაწილნი, ისევე როგორც ებრაელი ხალხის ნაწილნი. ბიბლია უწოდებს მათ ისრაელის „ნაშთს“ (რომ. 11:1-5). იესო ქრისტეს მოწმუნეები (იეშუა ჰა მაშიახი) სხვადასხვა ერებიდან ეკუთვნიან ეკლესიას და არიან აბრაამის სულიერი შთამომავლობა და ღმერთის აღთქმების მემკვიდრეები (გალატ. 3:26-29). ყველა მოწმუნე უნდა ცდილობდეს ამხილოს და დაგმოს ანტისემიტიზმი (ებრაელი ხალხის მტრობა და მათზე ამაღლება), რასიზმი და რასობრივი დისკრიმინაცია, ასევე ილოცონ ებრაელის გადარჩენაზე და იერუსალიმის მშვიდობისთვის (რომ. 10:1; ფსალმ. 121:6), აქტიურად შეუწყონ ხელი ერთიანობას მოწმუნეებს შორის, რაც ბიბლიურ სწავლებას ემყარება (დაბადება 12:1-3; ზაქ. 8:20-23; ესთერ. 4:13-14; იოან. 4:22; რომ. 9:1-5, 11:17-22).

„ხოლო მე ვამბობ, რომ ქრისტე, ღმერთის ჭეშმარიტებისათვის გახდა წინადაცვეთილთა მსახური, რათა დაედასტურებინა მამებისადმი აღთქმული, ასევე წარმართებისთვისაც, რათა განედიდებინა ღმერთი მისი წყალობისათვის, როგორც წერია: "ამისათვის გაქებ შენ წარმართთა შორის და

ვუგალობებ შენს სახელს”. და კვლავ ამბობს: "იხარებდეთ, წარმართნო, მის ხალხთან ერთად”. და კიდევ: "აქებდეთ უფალს წარმართებო და, ხალხებო, აღიდებდეთ მას”. ესაიაც ამბობს: "მოვა იესეს ფესვი, რომელიც აღდგება წარმართებზე საუფლოდ და მისი იმედი ექნებათ წარმართებს“ (რომ.15: 8-12).

II. გამოკვეთოს ყველაზე გავრცელებული თეოლოგიური და პრაქტიკული მცდარი შეხედულებები თანამედროვე ევანგელურ ეკლესიასა და მესიანურ წრეებში;

1. ძველი და ახალი აღთქმების წიგნების უცდომელობის უარყოფა (თანახი და ბრიტ ხადაშა).
2. მარკიონიზმი (ძველი აღთქმის წიგნების ღვთივსულიერების უარყოფა (თანახი) და ასევე დუალისტური სწავლება იმის შესახებ, რომ არსებობს ორი ღმერთი: ძველი აღთქმის ბოროტი და შურისმაძიებელი და ახალი აღთქმის კეთილი და მშვიდობისმყოფელი ღმერთი).
3. სხვადასხვა სახის არაკანონიკური ტექსტების ღვთივსულიერად აღიარება (ებრაული და ძველი ქრისტიანული აპოკრიფები, თალმუდი, მიდრაში, ეკლესიის მამათა ტექსტები და ა.შ.)
4. ერთი ღმერთის უარყოფა, როგორც მამის, ძის და სულიწმინდის.
5. უარყოფა, რომ იესო ქრისტე (იეშუა ჰა მაშიახი) არის უფალი ღმერთი.
6. უარყოფა, რომ სულიწმინდა (რუახ ჰა კოდეში) არის ღმერთი.
7. იესო ქრისტეს (იეშუა ჰა მაშიახი) გამომსყიდველი მსხვერპლის უარყოფა, მისი მკვდრეთით აღდგომის, ამაღლების, მეორედ მოსვლისა და ათასწლიანი მეფობის დამყარების, იერუსალიმის ქალაქში (ეს. 2:1-5; იერ. 23:5-8; 33:14-26; მიქ. 4:1-8; ზაქ. 8:1-8; 12-14 თავები; გამოც. 20:1-10).
8. სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის უარყოფა, იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის უარყოფა (იეშუა ჰა მაშიახი) და ადამიანების მომავალი მკვდრეთით აღდგომა, პირველი მკვდრეთით აღდგომა- „სიცოცხლის აღდგომა“, და მეორე მკვდრეთით აღდგომა- „განკითხვის აღდგომა“ (იოან. 5:28-29; 1 კორ. 15:51-52; 1 თეს. 4:13-18; გამოც.20:11-150).
9. სატანისა და დემონების (ბოროტი სულების) არსებობის უარყოფა.
10. ფსევდოსულიერების, ოკულტიზმისა და წარმართობის სხვადასხვა ფორმები იუდაიზმსა და ქრისტიანობაში, როგორცაა კაბალა, წმინდანთა ლოცვები, ასტროლოგია, საიენტოლოგია, ახალი ერის სწავლება (New Age), რეიკი (ალტერნატიული მედიცინის ერთგვარი სახე) და ა.შ.
11. გადარჩენის უარყოფა მხოლოდ იესო ქრისტეს მადლით რწმენის მეშვეობით (იეშუა ჰა მაშიახი)
12. ანტინომიზმი (სწავლება იმის შესახებ, რომ ღმერთი არ მოითხოვს მორწმუნეებისგან მის მიერ დადგენილი ზნეობრივი კანონების დაცვას, რომლებიც დაგვრჩა ბიბლიიდან).

13. ქრისტიანული უნივერსალიზმი (სწავლება იმის შესახებ, რომ საბოლოო ჯამში ყველა ადამიანი გადაარჩება).
14. ორმაგი ალთქმის თეოლოგია (სწავლება „იეშუა ებრაელებისთვის არაა“ და ის ფაქტი, რომ მათ თავიანთი ხსნის გზა აქვთ იესო ქრისტეს პირადი რწმენის გარეშე (იეშუა ჰა მაშიახი).
15. ჩანაცვლების თეოლოგია (სწავლება იმის შესახებ, რომ ეკლესიამ ჩანაცვლა ისრაელი, რომ ებრაელებმა დაკარგეს თავიანთი სტატუსი, როგორც ღვთის რჩეული ხალხის და უარყვეს წინასწარმეტყველების ფაქტიურად შესრულება ისრაელის შესახებ დედამიწაზე ქრისტეს ათასწლიანი სამეფოს დამყარების დროს).
16. ანტისემიტიზმი ქრისტიანულ რწმენებში (მტრობა და ამპარტავნება ებრაელ ერზე).
17. ქრისტიანული რწმენის ებრაული ფესვების უარყოფა.
18. იმ ფაქტის უარყოფა, რომ ბიბლიური წინასწარმეტყველებების თანახმად, უფალი ღმერთი თავად შეაგროვებს ებრაელ ხალხს ისრაელის მიწაზე მომავალში (ეს. 14:1-2; 43:5-7; იერ. 16:14-16; ეზეკ. 37:1-14, 38:8; ზაქ. 12:9-14).
19. მესიანური ებრაელების უფლებების არ აღიარება, რომ ასოცირდებოდნენ თავიანთ ხალხთან, რომ განაგრძონ თავიანთი ებრაული ცხოვრება, აღნიშნონ უფლის დღესასწაულები ბიბლიური კალენდრის შესაბამისად და გამოავლინონ მათი მესიანური შესრულება იესო ქრისტეს ცხოვრებაში (იეშუა ჰა მაშიახი) და ნაწინასწარმეტყველებ მოვლენებში (ზაქ. 14:16-19).

„მაგრამ ცრუწინასწარმეტყველნიც იყვნენ ხალხში, ისევე, როგორც თქვენშიც გეყოლებათ ცრუმოდღვარნი, რომლებიც დამლუპველ მწვალებლობას შემოიღებენ, თავიანთ გამომსყიდველ ხელმწიფეს უარყოფენ და სწრაფ დალუპვას მოიწევენ თავზე.“ (2პეტ. 2:1).

III. ხელი შეუწყოს სულიერ ერთიანობას მორწმუნეთა შორის ბიბლიური სწავლებების საფუძველზე.

1. საღვთო წერილის შესწავლა და სწავლება ებრაელი და ბერძნული ბიბლიური პერიოდების კულტურის გათვალისწინებით.
2. ებრაული და ქრისტიანული ტრადიციების პატივისცემა, თუ ისინი წარმართულნი არ არიან და არ ეწინააღმდეგებიან ბიბლიურ სწავლებას (მათ. 15:6; საქმ. 15:20-21,29; 1 კორ. 10:20-22; 31-33; 12:1-2; კოლ.2:16-17; 1 თეს. 1:9; 5:20-21; გამოცხ. 2:14-15).
3. მესიანურ ებრაელებსა და ევანგელურ მორწმუნეებს შორის დიალოგის განვითარება ერთმანეთზე ამალღების გარეშე (ლუკ. 18:14; რომ. 11:17-22; ეფეს. 2:11-22).

4. სულიერი დახმარების გაწევა იმ ხალხისთვის, რომლებიც მოექცნენ ისეთი მოძრაობების გავლენის ქვეშ, როგორცაა „ებრაელები იუდაიზმისთვის“ (ანტი-მესიანური ორგანიზაცია), „ბნეი ნოახ“ (ნოეს შვილების მოძრაობა) და ისეთი ფსევდო ქრისტიანული კულტები, როგორცაა იეჰოვას მოწმეები და მორმონები (იგავ. 24:11-12; ეფეს. 4:14-16), 1 იოან. 4:1-4).
5. ერთობლივი სულიერი ღონისძიებების ძატარება, ლოცვა ისრაელისა და ეკლესიისთვის, ასევე დევნილი მორწმუნეების დახმარება ისრაელსა თუ სხვა ქვეყნებში (ფსალმ. 121:6; ეს. 62:1-7; რომ. 9:1-3, 10:1; 15:27; 1 ტიმ. 2:1, 4:16).
6. ევანგელიზმის ეფექტური მეთოდების შემუშავება როგორც ისრაელში, ასევე მთელ მსოფლიოში (მათ. 28:19-20; რომ. 1:16; 10:1).

„მოთმინებისა და ნუგეშის ღმერთმა კი მოგცეთ თქვენ ერთსულოვნება ერთმანეთში ქრისტე იესოს მიერ, რათა ერთსულოვნად, ერთი პირით ადიდოთ ღმერთი, ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მამა. ამიტომ მიიღეთ ერთმანეთი ისევე, როგორც ქრისტემ მიგიღოთ, ღვთის სადიდებლად.“ (რომ. 15:5-7)